ექსპერტიზის

ანგარიში

ქ.თბილისში, რუსთავის გზატკეცილზე, ქარხანა „ელექტროავტომატი“-ს მიმდებარედ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: 01.18.10.003.071), სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტის - ბენზინ ან დიზელგასამართი სადგურის (საოპერატორო, მარკეტი, ავტოსამრეცხაო, საოფისე) არქიტექტურული პროექტის ნაწილების „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან შესაბამისობის შესახებ

1. პროექტის აღწერილობა, დაგეგმარების საფუძველი და მიზნები:

დაგეგმარების საფუძველი და მიზნები:
პროექტი მიზნად ისახავს ქალაქ თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის მშენებარე კომპლექსის მიმდებარედ, ნაკვ.10/005; ქ.თბილისში, რუსთავის გზატკეცილზე, ქარხანა „ელექტროავტომატი“-ს მიმდებარედ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 3839.0 მ² მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: 01.18.10.003.071), სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტის - ბენზინ ან დიზელგასამართი სადგურის მშენებლობას თანამედროვე გეგმარებითი პრინციპებისა და „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ მიხედვით.

მიწის ნაკვეთის მდებარეობა, აღწერა:
საპროექტო მიწის ნაკვეთი #10/005 (3839,0 მ2/) მდებარეობს ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ქ.რუსთავისაკენ მიმავალი ავტომაგისტრალის მიმდებარედ.
მიწის ნაკვეთს ჩრდილოეთისა და სამხრეთის მხრიდან ესაზღვრება საავტომობილო გზები, აღმოსავლეთით, იგივე მესაკუთრის მიწის ნაკვეთი, ხოლო დასავლეთით - საზოგადოებრივი სივრცე.
ტერიტორია ხასიათდება საშუალო სირთულის (ქანობი 5,0 - 5,1 % სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ) რელიეფით. აბსოლუტური ნიშნულები ზღვის დონიდან 382,54 მ-სა და 379,95 მ-ს შორის მერყეობს.

პროექტის შინაარსობრივი აღწერა:
გეგმარებით–ფუნქციური თვალსაზრისით საპროექტო ავტოგასამართი სადგური შემდეგნაირადაა წარმოდგენილი:
სამშენებლო მოედანზე პროექტით გათვალისწინებულია რამოდენიმე ობიექტის მშენებლობა, კერძოდ:
ნაკვეთის ცენტრალურ ნაწილში, ავტომაგისტრალის მიმდებარედ განთავსდება სწრაფი კვების ობიექტი, ხოლო მის მოპირდაპირედ, სამხრეთის კიდესთან - ავტოგასამართი ფარდული (ობიექტი #1), რომელიც ორიენტირებულია ტრანსპორტის მაქსიმალურად მოხერხებულ მიღებაზე და მაღაზიის შენობა, საოპერატოროსა და ავტოგასამართი სადგურის ავტოგასამართი ფარდულის ქვეშ გათვალისწინებულია საწვავის სამარაგო სამხრეთ-დასავლეთის კიდესთან, ხანძარსაწინააღმდეგო თვალსაზრისით, ასევე მიწისქვეშა განთავსებითაა გათვალისწინებული სახანძრო წყლის ჰიდრანტის ჭის მოწყობა, ხოლო ნაკვეთის აღმოსავლეთ ნაწილში გათვალისწინებულია ავტოტექდათვალიერების, ავტოსამრეცხაო ბოქსებისა და ადმინისტრაციის საოფისე შენობის (ობიექტი #16) განთავსება.
ავტოგასამართ სადგურზე ტრანსპორტის შემოსვლა ხორციელდება ნაკვეთის უკიდურესი სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხესთან შესაბამისი მოძრაობის შემნელებელი ზოლიდან.

პროექტის ძირითადი სტრუქტურული სისტემის აღწერა:
საპროექტო ობიექტის სტრუქტურას წარმოადგენს აგს-ის საოპერატორო და მაღაზიის შენობის, ავტოსამრეცხაო ბოქსებისა და საოფისე შენობის გაძლიერებული ბეტონის კოჭოვან ფილაზე დაფუძნებული სტრუქტურული ჩარჩო, რომელიც შედგება გაძლიერებული ბეტონის სვეტებისგან, რიგელებისგან და გადახურვის ფილისაგან. შენობები ერთსართულიანია. მაღაზიისა და საოპერატოროს შენობის ფასადი ორიენტირებულია როგორც გორგასლის ქუჩისაკენ, ასევე აგს-ის ფარდულისაკენ და ანალოგიურად სწრაფი კვების ობიექტისა, შემინულია შავი ფერის ვიტრაჟებით.
ავტოგასამართი ფარდულის ძირითადი სტრუქტურა შეწყვილებულ ლითონის საყრდენ სვეტზე დამონტაჟებული ლითონის კოჭების სისტემაა, რომლებზედაც ეწყობა გადახურვა. გადახურვის პერიმეტრი და საყრდენი სვეტები მოპირკეთებულია სარეკლამო დეკორატიული თეთრი და შავი ფერის კომპოზიტური მასალის დეკორატიული ფილებით.

დაგეგმარებისთვის გამოყენებული კანონმდებლობის აღწერა:
ავტოგასამართი სადგურის სამშენებლო პროექტის მომზადებისას გამოყენებულია შემდეგი კანონმდებლობა:

- საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წ. დადგენილება №41, ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები“;

-საქართველოს მთავრობის 06.02.2017 წ. დადგენილება №63, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2. დაგეგმარებისათვის გამოყენებული კანონმდებლობა:

- საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის №41 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“;
- 3.2.2.3 საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის N732 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს შესახებ ამოქმედდა 2021 წლის 1 მარტიდან;
- საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის N64 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.
- საქართველოს მთავრობის 2020 წლის 9 დეკემბრის N737 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.
- პროექტის ტექნოლოგიური ნაწილი დამუშავებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის #60 : „ტექნიკური რეგლამენტი ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების შესახებ“ დადგენილების მიხედვით.
- აღნიშნული დადგენილების შესაბამისად, პროექტში დაცულია ამ რეგლამენტით გათვალისწინებული ყველა ტექნოლოგიური ტექნიკური და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები. კერძოდ: ტექნოლოგიურ დანადგარებს შორისი და ტექნოლოგიურ დანადგარებსა და სხვა შენობა-ნაგებობებს შორის შეზღუდვის ზონები (მანძილები მეტრებში) მიღებულია ამერიკის შეერთებული შტატების სახანძრო უსაფრთხოების ეროვნული ასოციაციის "NFPA"-ს მიერ დამუშავებული, ავტოგასამართ სადგურებსა და ავტოგასამართ კომპლექსებზე მოქმედი სახანძრო უსაფრთხოების ნორმებისა და სტანდარტის : NFPA-30A - ს შესაბამისად.

3. ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია, რის მიხედვითაც ჩატარდა ინსპექტირება

ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები - ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის ან მისი ცალკეული ნაწილის ექსპერტიზა.

ექსპერტიზის შერულების პროცესში გამოყენებული იქნა:

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“;

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის №41 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“;

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის N732 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს შესახებ ამოქმედდა 2021 წლის 1 მარტიდან;

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის N64 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 9 დეკემბრის N737 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

4. კვლევითი ნაწილი

ექსპერტის მიერ არქიტექტურული პროექტის ნაწილების შესაბამისობა შეფასდა ექსპერტის მიერ რეგლამენტის მიხედვით.
კერძოდ, განხილულ იქნა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილებით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

5. დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს შენობაში განთავსებულ თითოეული ტიპის დაკავებულობისთვის შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესებით განსაზღვრულ ყველა მოთხოვნას. დაკავებულობები კლასიფიცირდება და შეესაბამება მე-3 თავის მიხედვით და შეესაბამება წესების **302-ე ქვეთავს.**

პროექტში გამოყენებულია **საქმიანი (სქ), სავაჭრო (სვ) და დამხმარე და სხვა დანიშნულების სათავსოთა (დს) ჯგუფების** დაკავებულობები.

1. **საქმიანი ჯგუფი სქ** (საოპერატორო და მარკეტის შენობა) – მოსასვენებელი ოთახი, საოპერატორო, ადმინისტრაცია, სამზარეულო ±0,00 მ ნიშნ.; (ავტოსამრეცხაო და საოფისე) - სამრეცხაო ბოქსები, ტექ. დათვალიერების ბოქსი, ადმინისტრაცია ±0,00 მ ნიშნ.; მოსასვენებელი ოთახები, საოფისე ფართობები, სამზარეულო, მენეჯერის ოთახი, ბრიფინგის ოთახი +3,91 მ ნიშნ. პროექტში წესების **304 თავის** მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს შენობის ან ნაგებობის ან მისი ნაწილის გამოყენებას საოფისე, პროფესიული ან სამომსახურებო ტიპის საქმიანობისთვის, მათ შორის, ჩანაწერებისა და ანგარიშების შესანახად. **სქ** დაკავებულობისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი **9,3** – **1004 ქვეთავის და 1004.1.2 ცხრილის** მიხედვით და დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს შესაბამისად 36, 19, 26-ს.

2. **სავაჭრო ჯგუფი სვ** (საოპერატორო და მარკეტის შენობა) - თხევადი საწვავის სარიგებელი სვეტები, სავაჭრო ფართობი ±0,00 მ ნიშნ., შეესაბამება **307.1** (გამონაკლისი 2 და 3) და **309** ქვეთავებს, სავაჭრო ჯგუფი **სვ** დაკავებულობა, სხვებთან ერთად მოიცავს ისეთი შენობებისა და ნაგებობების ან მათი ნაწილების გამოყენებას, სადაც გამოფენილია და იყიდება საქონელი, ასევე განთავსებულია ამგვარი საქონლის მარაგი, ნაკეთობები და სავაჭრო საქონელი და მისაწვდომია საზოგადოებისათვის. სავაჭრო ჯგუფი მოიცავს ქვემოთ ჩამოთვლილს, მაგრამ არა მხოლოდ მათ:

   - აფთიაქებს;
   - ბაზრებს/მარკეტებს;
   - ბენზინ გასამართ სადგურებს.
   - პროექტში სავაჭრო ჯგუფს მიეკუთვნება:

   დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს შესაბამისად 32 და 6-ს.

3. **დამხმარე და სხვადასხვა დანიშნულების ჯგუფი დს** (ავტოსამრეცხაო და საოფისე) - დამხმარე სათავსო ±0,00 მ ნიშნ.რაც შეესაბამება **წესების 312.1 ქვეთავს.**

   დს დაკავებულობისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი 27,9– **1004 ქვეთავის და 1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად.

   დამხმარე სათავსოების ჯგუფი დს დაკავებულობა შეესაბამება **312.1 ქვეთავის** მოთხოვნებს, დაკავებულობის დატვირთვის გამოსათვლელად გამოყენებულია ფაქტორი **„27,9“,** მისი მნიშვნელობა შეადგენს 1-ს, რაც სრულიად აკმაყოფილებს ამ ქვეთავის მოთხოვნებს.

   ავტოგასამართი სადგური შეესაბამება **406.7** ქვეთავის მოთხოვნებს. ავტოგასამართი ადგილის ზედაპირი შეესაბამება **406.7.1** ქვეთავს, ხოლო ჩარდახი **406.7.2** ქვეთავს.

6. კონსტრუქციის ტიპების შეფასება.

შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების არსებული შენობებისთვის გამოყენებული მასალების ცეცხლმედეგობის (განსაზღვრულია **721.1 ცხრილის** მიხედვით), საპროექტო შენობებში არსებული დაკავებულობების საფუძველზე, ტერიტორიის საზღვრების სიახლოვიდან და შენობების სიმაღლეებიდან გამომდინარე განსაზღვრულია **V-B** კონსტრუქციის ტიპი.
ადმინისტრაციული შენობის მზიდი კედლები, რკინაბეტონის მონოლითური ფილებით გადახურვა დასრულებული ბრტყელი გადახურვის კონსტრუქციით, ასევე ფანჩატურის კონსტრუქციები აკმაყოფილებს **601 ქვეთავს, 601 ცხრილის** მოთხოვნებს, გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს წესების **602 ცხრილში** განსაზღვრულ მინიმუმს ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან და გარე კედლების სამშენებლო მასალიდან გამომდინარე, რაც ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება აღწერილი.

7. სიმაღლისა და ფართობის შეფასება.

საპროექტო შენობა-ნაგებობების სიმაღლე და ფართობები განსაზღვრულია წესების მე-**5 თავის 503 ცხრილის** მიხედვით და შენობებში არსებული დაკავებულობების და კონსტრუქციების ტიპიდან (**V-B**) გამომდინარე საპროექტო შენობების ყველა ნაწილი აკმაყოფილებს განსაზღვრულ ნორმებს. შენობების დასაშვები სიმაღლეები და ფართობები აკმაყოფილებს **503 ცხრილის** („შენობის დასაშვები სიმაღლე და ფართობი, შენობის სიმაღლის შეზღუდვები ნაჩვენებია მ-ში მიწის დონის ზემოთ. სართულიანობის შეზღუდვები ნაჩვენებია სართულებით მიწის დონის ზემოთ. ფართობების შეზღუდვები ნაჩვენებია მ2-ში „შენობის ფართობი“ განსაზღვრების მიხედვით) მონაცემების შესაბამისად განისაზღვრა **V-B** (მიწისპირა სართული) ტიპის კონსტრუქციებს.

შენობების დაკავებულობების ფართობების ჯამური მაჩვენებელი გასასვლელი საშუალებების ფართობებთან და სხვა ელემენტებთან ერთად არ ცდება **503 ცხრილში** მითითებული სართულების ფართობთან დაკავშირებულ ზღვრებს.

8. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება.

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის, დერეფნებთან დაკავშირებული შეზღუდვების და გასასვლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე **მე-10 თავის** შესაბამისად.

წესების **მე-10 თავის 1021.2 ქვეთავის** და **1021.2(2) ცხრილიდან** გამომდინარე საოფისე შენობას მოთხოვნილი ერთი გზა-კიბე (ავტოსაშხეფით).

გასასვლელები განაწილებულია შემდეგნაირად:
+3,91 მ ნიშნულზე დაკავებულობის დატვირთვიდან და წესების **ცხრილი 1021.2(2)**-დან გამომდინარე ემსახურება ერთი გზა-კიბე და 1 გასასვლელი გზა-კარი, შემოზღუდულ კიბეს გააჩნია ერთსაათიანი ცეცხლმედეგობის შემომზღუდავები **(1009.3.1.2 ქვეთავი).**
გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი არ აღემატება 29 მ-ს.

სართულზე ±0.00 მ ნიშნულზე საქმიანი **სქ** და დამხმარე **დს** ჯგუფების დაკავებულობების დატვირთვიდან და წესების **1021.2(2)** ცხრილიდან გამომდინარე, მოთხოვნილი სამი გზა-კარის ნაცვლად ემსახურება რვა გასასვლელი კარი, რომლებიც აკმაყოფილებს **1005.3.2 ქვეთავის** მოთხოვნებს და წესების შესაბამისი საფეხმავლო ბილიკის გავლით უკავშირდება საზოგადოებრივ ზონას - ქუჩას.
გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი არ აღემატება 9 მ-ს.
საოპერატორო და მარკეტის შენობას ±0,00 მ ნიშნ. გააჩნია მოთხოვნილი 2 გზა-კარი.
შენობების თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის და გასასვლელის კომპონენტების ზომები გათვალისწინებულია **მე-10 თავის** შესაბამისად.
გზა-კიბის შემომზღუდავებში მდებარე ღიობები დაცულია 45 წუთიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე კარის ანაწყობებით, რაც აკმაყოფილებს **716.5 ცხრილის** მოთხოვნებს.
წესების **მე-10 თავის 1004 ქვეთავის, 1004.1.2 ცხრილის** საფუძველზე განსაზღვრული დაკავებულობის დატვირთვების გამოთვლის და თითოეული სათავსოს ანალიზის შემდეგ დადგინდა, რომ შენობის კლასიდან გამომდინარე შენობის კედლები აკმაყოფილებს მოთხოვნილი ცეცხლმედეგობის ხარისხს.
შენობის გასასვლელი საშუალებები შეესაბამება **მე-10 თავის 1005, 1007 და 1027 ქვეთავების** მოთხოვნებს.

საპროექტო შენობების გასასვლელების რაოდენობა შეესაბამება წესების **1021 ქვეთავს** (**1021.2, სართულებიდან გასასვლელები**).

9. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელის საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება.

გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები მოწყობილია **1009 ქვეთავის** შესაბამისად.
გზა-კიბეების სიგანე განსაზღვრულია **1009.4 ქვეთავის** და შენობის სართულზე მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.1. ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი (**7.6**). პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია 1,20 მ სიგანის გზა-კიბე და მიღებული სიგანე შენარჩუნებულია შენობის ყველა სართულისთვის. კიბეზე სავალი ზედაპირის ღია მხარეს მოწყობილია მოაჯირები **1013 ქვეთავის** შესაბამისად, ხოლო კედლის მხარეს სახელურები **1012 ქვეთავის** მოთხოვნათა დაცვით. კიბე მაქსიმალურად არის მოყვანილი წესების მოთხოვნებასთან შესაბამისობაში. საპროექტო კიბეზე სწორად არის განსაზღვრული საფეხურების შუბლის სიმაღლე და თარაზული ზედაპირის სიღრმე, რაც აკმაყოფილებს **1009.7.2 ქვეთავის** მოთხოვნებს. გზა-კიბის ბაქნების ზომები შეესაბამება **1009.8 ქვეთავის** მოთხოვნებს;
გასასვლელების სისტემაში შემავალი დერეფნები მოწყობილია **1018 ქვეთავის** შესაბამისად და აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. დერეფნის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1018.2 ქვეთავის** და თითოეულ სართულზე დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებლის მიხედვით. დერეფნების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2. ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი (**5.1 მმ**). პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია 1.90 მ. სიგანის, რაც შეესაბამება **1018.2 ცხრილის** მოთხოვნებს.

გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია **1008 ქვეთავის** შესაბამისად და აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გზა-კარის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1008.1.1 ქვეთავის** და მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კარების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2. ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი (**5.1 მმ**). ყველა კარი აკმაყოფილებს განსაზღვრულ მინიმალურ მოთხოვნას, სიგანე 90 გრადუსით გაღებულ მდგომარეობაში უზრუნველყოფს მოთხოვნილ 82 სმ-ს და მეტ თავისუფალ სიგანეს.

10. მისაწვდომობის შეფასება

მე-**11-ე თავის 1103.2.4 ქვეთავის** მოთხოვნის შესაბამისად გეგმარების კონცეფციაში არის მითითებული მისაწვდომობის სვლა-გეზი, რისი საშუალებითაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს შეუძლიათ ტერიტორიაზე, ხოლო კიბეზე დახრილად მოძრავი ბაქნით ყველა დაკავებულობაში შესვლა. მიწის დონის სართულზე შშმპ მოხვედრა შესაძლებელია კარით.
±0,00 და +3,91 მ ნიშნ. ორივე შენობის სართულებზე გათვალისწინებულია ტუალეტები და ადგილები საკონფერენციო დარბაზში **ქვეთავი 1108.2.9**-ის თანახმად.

11. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება

საპროექტო შენობის გარე კედლების ყველა კომპონენტი, კერძოდ, გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი და ღიობების დაცვის ხარისხი, განსაზღვრულია **705 ქვეთავის** მიხედვით და შეესაბამება **705.8 ცხრილს.** მოცემული დოკუმენტაციის მიხედვით პროექტში, კონსტრუქციის ტიპისა და ხანზარსაწინააღმდეგო მანძილიდან გამომდინარე **602 ცხრილის** მიხედვით გარე კედლები ნაწილობრივ საჭიროებს ცეცხლმედეგობის უზრუნველყოფას.
გარე კედლებში ჩასმული ღიობის ანაწყობები (კარები, ფანჯრები) აკმაყოფილებს წესების **705.8 ცხრილის** მოთხოვნებს ფართობის მიხედვით.

12. სახურავის ანაწყობების შეფასება

საპროექტო შენობების გადახურვის ტიპი არის ბრტყელი. ბეტონის გადახურვის ფილაზე გათვალისწინებულია თბოიზოლაცია 15-35 სმ სისქის, 7 სმ მოჭიმვა ცემენტის ხსნარით, 2 შრე ჰიდროიზოლაციით.
სახურავების კონსტრუქციები და არაძირითადი ნაწილები განსაზღვრულია **601 ცხრილის** მიხედვით. სახურავის ბურულის ხანძრის კლასიფიკაცია, კონსტრუქციული ანაწყობების მიხედვით ეკუთვნის **C** კლასს (**ცხრილი 1505.1ა**).

1505.4. C კლასის სახურავის ანაწყობები. C კლასის სახურავის ანაწყობებად ითვლება ის ანაწყობები, რომლებიც ტესტირების დროს უძლებს სუსტი ცეცხლის ზემოქმედებას.

13. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება

საპროექტო ტერიტორიის თითოეული ნაწილი ინდივიდუალურად არის კლასიფიცირებული წესების **508 ქვეთავის** შესაბამისად.
ტერიტორიაზე წარმოდგენილია საპროექტო შენობები, რომლის ნაწილებიც (საქმიანი სქ და დამხმარე დს დაკავებულობები ითხოვს 1 სთ გამიჯვნას ავტოსაშხეფის პირობებში. თითოეული სასტუმროს ნომერი მეორესგან ითხოვს 1 სთ ცეცხლმედეგ გამიჯვნას. შენობას ასევე ესაჭიროება თარაზული გამიჯვნები 1 სთ ხარისხის, რაც შეესაბამება **508.4** ცხრილში განსაზღვრულ მოთხოვნებს.
დერეფნებს **1018 ქვეთავსა** და **1018.1 ცხრილის** მიხედვით არ მოეთხოვება ცეცხლმედეგობის ხარისხი, ვინაიდან შენობა აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბის შემომზღუდავი კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი 1 საათიანია **1009.3.1.2 ქვეპუნქტის** შესაბამისად. აღნიშნულ კედლებში მოწყობილია 45 წუთიანი ცეცხლმედეგობის თვითიკეტებადი კარები, რაც აკმაყოფილებს **1009.3.1.2 ქვეთავის, 1009.3.1.4 ქვეთავის და 716.5 ცხრილის** მოთხოვნებს;

შენობაში არსებული შახტების (საჰაერო და საკომუნიკაციო) შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი არის 1 საათიანი, რაც შეესაბამება **713.4 ქვეთავის** მოთხოვნებს.

14. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება.

- შენობის ადმინისტრაციული სართული აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით **903.3.1.1, 903.3.2 ქვეთვების** მიხედვით.
- ვინაიდან კიბის უჯრედი არ არის უზრუნველყფილი ფოიეთი, გათვალისწინებულია დაწნევის სისტემის მოწყობა, რაც შეესაბამება **1022.10 ქვეთავის** მოთხოვნებს.
- **907.2.11.1 ქვეთავის** მიხედვით საჭირო კვამლზე მორეაგირე სიგნალიზაციის მაუწყებლის მოწყობილობები, რომლებიც განთავსებულია კიბის უჯრდში.
- **907.2.6.2 ქვეთავების** მიხედვით საჭირო კვამლის ავტომატური აღმომჩენები და ცეცხლაღმომჩენები.
- შენობის ყველა დაკავებულობებში გათვალისწინებულია ხელის ცეცხლმაქრების განთავსება **906 ქვეთავის** შესაბამისად.

- საპროექტო მიწის ნაკვეთის შესასვლელთან გათვალისწინებულია სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლის (ჰიდრანტების) მოწყობა, რაც მოთხოვნილია **„*წესებით*“ 912 ქვეთავში.**

15. წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება

წყალსადენი სისტემები და ფიქსირებული მოწყობილობები დადგენილია დაკავებულობის ტიპის მიხედვით და აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს (**ცხრილი 1602.1**).

16. განსაკუთრებული პირობები (დამატებითი)

1. საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს სანებართვო არქიტექტურული პროექტის, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 საქართველოს მთავრობის დადგენილება და №.498 2017 წლის 20 ნოემბერის „ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე “ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

2. დადგენილებასთან ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ და ამ დადგენილებიდან გამომდინარე რეგულაციებთან შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, საპროექტო-სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.
3. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბმისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე#- ზურაბ ნადირაძე.
4. საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება *წესებში* გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული *წესების* მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება

ექსპერტიზის დასკვნა

დამკვეთის მიერ წარმოდგენილ **ქ.თბილისში, რუსთავის გზატკეცილზე, ქარხანა „ელექტროავტომატი“-ს მიმდებარედ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: 01.18.10.003.071), სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტის - ბენზინ ან დიზელგასამართი სადგურის (საოპერატორო, მარკეტი, ავტოსამრეცხაო, საოფისე)** პროექტის არქიტექტურული ნაწილების მოქმედი ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების შედეგად, ექსპერტის მიერ დადგინდა - მოწოდებული სახით ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის არქიტექტურული პროექტის ნაწილები შესაბამობაშია საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან და ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი: ნატალია ვასილიევა

თბილისი,

16 დეკემბერი 2021 წ

ექსპერტიზის

ანგარიში

ქ.თბილისში, რუსთავის გზატკეცილზე, ქარხანა „ელექტროავტომატი“-ს მიმდებარედ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: 01.18.10.003.071), სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტის - ბენზინ ან დიზელგასამართი სადგურის (სწრაფი კვების ობიექტის) არქიტექტურული პროექტის ნაწილების „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან შესაბამისობის შესახებ

1. პროექტის აღწერილობა, დაგეგმარების საფუძველი და მიზნები:

დაგეგმარების საფუძველი და მიზნები:
პროექტი მიზნად ისახავს ქალაქ თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის მშენებარე კომპლექსის მიმდებარედ, ნაკვ.10/005; ქ.თბილისში, რუსთავის გზატკეცილზე, ქარხანა „ელექტროავტომატი“-ს მიმდებარედ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 3839.0 მ² მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: 01.18.10.003.071), სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტის - ბენზინ ან დიზელგასამართი სადგურის მშენებლობას თანამედროვე გეგმარებითი პრინციპებისა და „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ მიხედვით.

მიწის ნაკვეთის მდებარეობა, აღწერა:
საპროექტო მიწის ნაკვეთი #10/005 (3839,0 მ2/) მდებარეობს ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ქ.რუსთავისაკენ მიმავალი ავტომაგისტრალის მიმდებარედ.
მიწის ნაკვეთს ჩრდილოეთისა და სამხრეთის მხრიდან ესაზღვრება საავტომობილო გზები, აღმოსავლეთით, იგივე მესაკუთრის მიწის ნაკვეთი, ხოლო დასავლეთით - საზოგადოებრივი სივრცე.
ტერიტორია ხასიათდება საშუალო სირთულის (ქანობი 5,0 - 5,1 % სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ) რელიეფით. აბსოლუტური ნიშნულები ზღვის დონიდან 382,54 მ-სა და 379,95 მ-ს შორის მერყეობს.

პროექტის შინაარსობრივი აღწერა:
გეგმარებით–ფუნქციური თვალსაზრისით საპროექტო ავტოგასამართი სადგური შემდეგნაირადაა წარმოდგენილი:
სამშენებლო მოედანზე პროექტით გათვალისწინებულია რამოდენიმე ობიექტის მშენებლობა, კერძოდ:
ნაკვეთის ცენტრალურ ნაწილში, ავტომაგისტრალის მიმდებარედ განთავსდება ***სწრაფი კვების ობიექტი (ობიექტი #4, რომელიც განხილული იქნება წინამდებარე საექსპერტო შეფასებაში)***, ხოლო მის მოპირდაპირედ, სამხრეთის კიდესთან- ავტოგასამართი ფარდული (ობიექტი #1), რომელიც ორიენტირებულია ტრანსპორტის მაქსიმალურად მოხერხებულ მიღებაზე და მაღაზიის შენობა, საოპერატოროსა და ავტოგასამართი სადგურის ავტოგასამართი ფარდულის ქვეშ გათვალისწინებულია საწვავის სამარაგო სამხრეთ-დასავლეთის კიდესთან, ხანძარსაწინააღმდეგო თვალსაზრისით, ასევე მიწისქვეშა განთავსებითაა გათვალისწინებული სახანძრო წყლის ჰიდრანტის ჭის მოწყობა, ხოლო ნაკვეთის აღმოსავლეთ ნაწილში გათვალისწინებულია ავტოტექდათვალიერების, ავტოსამრეცხაო ბოქსებისა და ადმინისტრაციის საოფისე შენობის (ობიექტი #16) განთავსება.
ავტოგასამართ სადგურზე ტრანსპორტის შემოსვლა ხორციელდება ნაკვეთის უკიდურესი სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხესთან შესაბამისი მოძრაობის შემნელებელი ზოლიდან, ხოლო ***სწრაფი კვების ობიექტზე შემოსვლა და გასვლა ხორციელდება ავტომაგისტრალიდან შესაბამისი შემანელებელ-ამაჩქარებელი ზოლებიდან.***

პროექტის ძირითადი სტრუქტურული სისტემის აღწერა:
საპროექტო ობიექტის სტრუქტურას წარმოადგენს ***სწრაფი კვების ობიექტის,*** აგს-ის საოპერატორო და მაღაზიის შენობის, ავტოსამრეცხაო ბოქსებისა და საოფისე შენობის გაძლიერებული ბეტონის კოჭოვან ფილაზე დაფუძნებული სტრუქტურული ჩარჩო, რომელიც შედგება გაძლიერებული ბეტონის სვეტებისგან, რიგელებისგან და გადახურვის ფილისაგან. შენობები ერთსართულიანია. ***სწრაფი კვების ობიექტის ფასადი, რომელიც ორიენტირებულია საავტომობილო მაგისტრალისაკენ - შემინულია შავი ფერის ალუმინის პროფილით დამზადებული ვიტრაჟებით და მოპირკეთებულია ლითონისა და ხის დეკორატიული ფრაგმენტული ჩანართებით, შენობის სახურავი ერთქანობიანია და მთელს პერიმეტრზე შემოკავებულია პარაპეტით.***
მაღაზიისა და საოპერატოროს შენობის ფასადი ორიენტირებულია როგორც გორგასლის ქუჩისაკენ, ასევე აგს-ის ფარდულისაკენ და ანალოგიურად სწრაფი კვების ობიექტისა, შემინულია შავი ფერის ვიტრაჟებით.

ავტოგასამართი ფარდულის ძირითადი სტრუქტურა შეწყვილებულ ლითონის საყრდენ სვეტზე დამონტაჟებული ლითონის კოჭების სისტემაა, რომლებზედაც ეწყობა გადახურვა. გადახურვის პერიმეტრი და საყრდენი სვეტები მოპირკეთებულია სარეკლამო დეკორატიული თეთრი და შავი ფერის კომპოზიტური მასალის დეკორატიული ფილებით.

დაგეგმარებისთვის გამოყენებული კანონმდებლობის აღწერა:
ავტოგასამართი სადგურის სამშენებლო პროექტის მომზადებისას
გამოყენებულია შემდეგი კანონმდებლობა:
- საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წ. დადგენილება №41, ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები“;
-საქართველოს მთავრობის 06.02.2017 წ. დადგენილება №63, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2. დაგეგმარებისათვის გამოყენებული კანონმდებლობა:

- საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის №41 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“;
- 3.2.2.3 საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის N732 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს შესახებ ამოქმედდა 2021 წლის 1 მარტიდან;
- საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის N64 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.
- საქართველოს მთავრობის 2020 წლის 9 დეკემბრის N737 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.
- პროექტის ტექნოლოგიური ნაწილი დამუშავებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის #60 : „ტექნიკური რეგლამენტი ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების შესახებ“ დადგენილების მიხედვით.
- აღნიშნული დადგენილების შესაბამისად, პროექტში დაცულია ამ რეგლამენტით გათვალისწინებული ყველა ტექნოლოგიური ტექნიკური და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები. კერძოდ: ტექნოლოგიურ დანადგარებს შორისი და ტექნოლოგიურ დანადგარებსა და სხვა შენობა-ნაგებობებს შორის შეზღუდვის ზონები (მანძილები მეტრებში) მიღებულია ამერიკის შეერთებული შტატების სახანძრო უსაფრთხოების ეროვნული ასოციაციის "NFPA"-ს მიერ დამუშავებული, ავტოგასამართ სადგურებსა და ავტოგასამართ კომპლექსებზე მოქმედი სახანძრო უსაფრთხოების ნორმებისა და სტანდარტის : NFPA-30A - ს შესაბამისად.

3. ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია, რის მიხედვითაც ჩატარდა ინსპექტირება

ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები - ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის ან მისი ცალკეული ნაწილის ექსპერტიზა.

ექსპერტიზის შერულების პროცესში გამოყენებული იქნა:

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“;

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის №41 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“;

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის N732 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს შესახებ ამოქმედდა 2021 წლის 1 მარტიდან;

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის N64 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 9 დეკემბრის N737 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

4. კვლევითი ნაწილი

ექსპერტის მიერ არქიტექტურული პროექტის ნაწილების შესაბამისობა შეფასდა ექსპერტის მიერ რეგლამენტის მიხედვით.

კერძოდ, განხილულ იქნა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილებით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

5. დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს სწრაფი კვების ობიექტის შენობაში განთავსებულ თითოეული ტიპის დაკავებულობისთვის „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესებით“ განსაზღვრულ ყველა მოთხოვნას. დაკავებულობები კლასიფიცირდება და შეესაბამება მე-3 თავის მიხედვით და შეესაბამება წესების **302-ე ქვეთავს.**

პროექტში გამოყენებულია **სასაწყობო ჯგუფი (სწ-2), ჯგუფი (თვ-2)**, **საქმიანი (სქ) და დამხმარე სათავსოთა (დს) ჯგუფების** დაკავებულობები.

1. **311.1. სასაწყობო ჯგუფი სწ.** სასაწყობო ჯგუფის (სწ) დაკავებულობები, სხვებთან ერთად, მოიცავს საწყობად გამოყენებულ შენობას ან ნაგებობას, ან მათ ნაწილს და არ კლასიფიცირდება, როგორც საფრთხის შემცველი დაკავებულობა.
   311.3. მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-2. შენობები, სადაც არაწვადი მასალები ინახება ხის ყუთებში, მუყაოს კოლოფებში ან ქაღალდის სახვევშია მოთავსებული. ასეთ პროდუქტებზე დასაშვებია უმნიშვნელო რაოდენობით პლასტმასის გაფორმება, მაგ.: კნოპები, სახელურები ან თხელი სახვევები. საწყობები გამოიყენება შემდეგი საქონლისთვის, მაგრამ არა მხოლოდ:

   - საკვები პროდუქტები;
   - საკვები ცეცხლგამძლე კონტეინერებში;
   - ახალი ხილი და ბოსტნეული არაპლასტმასის ლანგრებზე ან კონტეინერებში;

- ზეთის და სხვა ტიპის გამანაწილებელი ტრანსფორმატორები.

სასაწყობო ჯგუფები სწ-2 დაკავებულობა (მშრალი პროდუქტების საწყობი, საყინულე, მაცივარი, სატრანსფორმატორო) - ±0,00 მ ნიშნულზე წესების **311.3 ქვეთავის** მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს შენობებს, სადაც არაწვადი მასალები ინახება და მიეკუთვნება მცირე საფრთხის შემცველ სასაწყობო ჯგუფს.

სწ-2 დაკავებულობისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - **46,5, 1004 ქვეთავის** და **1004.1.2 ცხრილის** მიხედვით. დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 4-ს.

2. **თავშეყრის ჯგუფი თვ-2** - (დარბაზი, სამზარეულო) ±0,00 მ ნიშნულზეშეესაბამება **303.3-ე** ქვეთავს, რომელიც მოიცავს:

   - რესტორნებს,
   - კაფეებს და კვების მსგავს დაწესებულებებს (მათთან დაკავშირებული სამზარეულოების ჩათვლით), საბანკეტო დარბაზებს,

   თვ-2 დაკავებულობისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორები - „ფიქსირებული დასაჯდომი“ დარბაზისთვის და **18,6** სამზარეულოსთვის, **1004 ქვეთავის** და **1004.1.2 ცხრილის** მიხედვით. დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 77+5=82.

3. **საქმიანი ჯგუფი სქ** (მოსასვენებელი ოთახი, ნაგვის საპრესი, მენეჯერის ოთახი, აიტის ოთახი, კურიერების მოსაცდელი, სამრეცხაო, მულტიპლექსი) ±0,00 მ ნიშნ.; პროექტში წესების **304 თავის** მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს შენობის ან ნაგებობის ან მისი ნაწილის გამოყენებას საოფისე, პროფესიული ან სამომსახურებო ტიპის საქმიანობისთვის, მათ შორის, ჩანაწერებისა და ანგარიშების შესანახად. **სქ** დაკავებულობისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი **9,3** – **1004 ქვეთავის და 1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად და დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 8-ს.

4. **დამხმარე და სხვა დანიშნულების ჯგუფი დს** დაკავებულობა - (დამლაგებლის ოთახი, საკუჭნაო) ±0,00 მ ნიშნულზე, რაც შეესაბამება **წესების 312.1 ქვეთავს.**

   დს დაკავებულობისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი **27,9**– **1004 ქვეთავის და 1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად,მისი მნიშვნელობა შეადგენს 2-ს, რაც სრულიად აკმაყოფილებს ამ ქვეთავის მოთხოვნებს.

6. კონსტრუქციის ტიპების შეფასება.

სწრაფი კვების ობიექტის შენობის უსაფრთხოების წესების არსებული შენობებისთვის გამოყენებული მასალების ცეცხლმედეგობის (განსაზღვრულია **721.1 ცხრილის** ფილებით გადახურვა დასრულებული ბრტყელი გადახურვის კონსტრუქციით, ასევე ფანჩატურის კონსტრუქციები აკმაყოფილებს **601 ქვეთავს, 601 ცხრილის** მოთხოვნებს, გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს წესების **602 ცხრილში** განსაზღვრულ მინიმუმს ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან და გარე კედლების სამშენებლო მასალიდან გამომდინარე, რაც ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება აღწერილი.

7. სიმაღლისა და ფართობის შეფასება.

სწრაფი კვების ობიექტის საპროექტო შენობის სიმაღლე და ფართობი განსაზღვრულია წესების მე-**5 თავის 503 ცხრილის** მიხედვით და შენობებში არსებული დაკავებულობების და კონსტრუქციების ტიპიდან (**V-B**) გამომდინარე საპროექტო შენობების ყველა ნაწილი აკმაყოფილებს განსაზღვრულ ნორმებს. შენობების

დასაშვები სიმაღლეები და ფართობები აკმაყოფილებს **503 ცხრილის** („შენობის დასაშვები სიმაღლე და ფართობი, შენობის სიმაღლის შეზღუდვები ნაჩვენებია მ-ში მიწის დონის ზემოთ. სართულიანობის შეზღუდვები ნაჩვენებია სართულით მიწის დონის ზემოთ. ფართობების შეზღუდვები ნაჩვენებია მ2-ში „შენობის ფართობი“ განსაზღვრების მიხედვით) მონაცემების შესაბამისად განისაზღვრა **V-B** (მიწისპირა სართული) ტიპის კონსტრუქციებს.

შენობის დაკავებულობების ფართობების ჯამური მაჩვენებელი გასასვლელი საშუალებების ფართობებთან და სხვა ელემენტებთან ერთად არ ცდება **503 ცხრილში** მითითებული სართულების ფართობთან დაკავშირებულ ზღვრებს.

8. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება.

სწრაფი კვების ობიექტის შენობაში გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის დაკავებულობის დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის და გასასვლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე **მე-10 თავის** შესაბამისად.

გასასვლელები განაწილებულია შემდეგნაირად:
მიწის დონის ±0,00 მ ნიშნულზე, თავშეყრის **თვ** დაკავებულობის ჯგუფს, დაკავებულობის დატვირთვიდან და წესების **1021.2(2)** ცხრილიდან გამომდინარე ემსახურება 3 გასასვლელი გზა-კარი, სქ დაკავებულობას 3 გზა-კარი, სასწყობო სწ-2 დაკავებულობას 1 გზა-კარი და დს დაკავებულობას 3 გზა-კარი. შესაბამისი საფეხმავლო ბილიკის გავლით უკავშირდება საზოგადოებრივ ზონას - ქუჩას.
გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი არ აღემატება 26 მ-ს.

საპროექტო შენობის გასასვლელების რაოდენობა შეესაბამება წესების **1021 ქვეთავს** (**1021.2, სართულებიდან გასასვლელები**).

9. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელის საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება.

გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია **1008 ქვეთავის** შესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გზა-კარის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1008.1.1 ქვეთავის** და მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კარების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2. ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი (**5.1 მმ**). ყველა კარი აკმაყოფილებს განსაზღვრულ მინიმალურ მოთხოვნას, სიგანე 90 გრადუსით გაღებულ მდგომარეობაში უზრუნველყოფს მოთხოვნილ 82 სმ-ს და მეტ თავისუფალ სიგანეს.

10. მისაწვდომობის შეფასება

მე-**11-ე თავის 1103.2.4 ქვეთავის** მოთხოვნის შესაბამისად გეგმარების კონცეფციაში არის მითითებული მისაწვდომობის სვლა-გეზი, რისი საშუალებითაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს შეუძლიათ ტერიტორიაზე, ყველა დაკავებულობაში შესვლა.
±0,00 მ ნიშნ. სართულზე გათვალისწინებულია ტუალეტები და 1 ადგილი დარბაზში **ქვეთავი 1108.2.9**-ის თანახმად.

11. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება

სწრაფი კვების ობიექტის საპროექტო შენობის გარე კედლების ყველა კომპონენტი, კერძოდ, გარე კედლის

